

სოციალური შემგუებლობის, დაბადების რიგითობის და
თვითშეფასების კავშირი საქართველოში მცხოვრები სკოლამდელი
ასაკის ბავშვებში

ანანო ბაბუხაძია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მია წერეთელი
ასოცირებული პროფესორი, PHD



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანანო ბაბუხაძია

26.01.2022

Abstract

The famous Austrian doctor and psychotherapist Alfred Adler was one of the first, who studied how birth order effects on the formation of a personalities. Adler started his research with observing only childs and found out that they might be less sociable because, they have no experience of interacting with peers. The firstborn children, usually, achieve the goals earlier, the second children are able to adapt to the new environment more easily and are quite flexible people. A very wide and diverse range of personalities can be developed from middle children. The habits that are developed in middle-aged children are caused by the fact that they have never really been in the center of full attention. Middle-aged children are not usually characterized by a sense of belonging. They are constantly struggling to gain the attention of their parents, though they still remain neglected, or perceived as a repetition of the first or the child in front of them. Middle-aged children are usually characterized by a sense of insecurity, which obviously affects their later lives. This, in turn, affects their relationships throughout their lives. In some cases, middle-aged children are very hopeless, skeptical about life, and more prone to depression and loneliness. They have a lack of drive and stimulus and try to follow the path of the eldest sibling's life. They avoid conflicts, are very friendly with their peers and therefore have many friends.

According to the "birth order theory", a person's personality is greatly influenced by the society in which he/she evolves. The development of social skills affects a person's self-perception, attitude towards both themselves and those around them. Relationships with older people play a big role in creating self-esteem, as adult's assesment has a major impact on adolescent self-esteem. Therefore, the aim of this study is to analyze the relationship between children's social tolerance, birth order and self-esteem in private and public kindergartens in Georgia.

The quantitative research included a survey of 60 children from public and private kindergartens, with René Jill's social adaptation projection test, and a preschool self-assessment test using the Ladder.

A negative correlation has been found between birth order and children's social adaptation, as well as between social adaptation and self-esteem. In private and public kindergartens, different relationships were identified in the following sub-categories: "Relationships with friends," "Adaptation in a large group", "Desire to lead". Higher self-esteem was found in second-born children, sharply lower in mothers of infants, lower-than-average births in first-born children, and adequate births in third-born children.

Based on the given results, it is recommended to offer activities and recommendations for teachers that will help reduce the desire for loneliness in conflict-aggressive behaviors and it is also important to offer activities to develop leadership skills in public kindergartens.

Keywords: Birth order, social adjustment, self-esteem, private garden, public garden.

აბსტრაქტი

„დაბადების რიგითობის თეორიის“ მიხედვით, ადამიანის პიროვნებაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური, რომელშიც მას უწევს განვითარება. სოციალური უნარების გამომუშავება მოქმედებს პიროვნების თვით აღქმაზე, დამოკიდებულებაზე როგორც საკუთარი თავის, ასევე გარშემო მყოფების მიმართ. საკუთარ თავზე წარმოდგენის შექმნაში დიდ როლს ასრულებს უფროს ადამიანებთან ურთიერთობა, რადგან უფროსის შეფასებას აქვს დიდი გავლენა მოზარდის თვითშეფასებაზე. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოს კერძო და საჯარო ბაღებში ბავშვების სოციალური შემგუებლობის, დაბადების რიგითობის და თვითშეფასების კავშირის გამოკვლევა.

ცნობილი ავსტრიელი ექიმი და ფსიქოთერაპევტი ალფრედ ადლერი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შეისწავლა თუ როგორ მოქმედებს დაბადების რიგი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ადლერმა კვლევა დაიწყო დედისერთა ბავშვებზე დაკვირვებით და ამბობდა, რომ შესაძლოა ისინი იყვნენ ნაკლებად კომუნიკაბელურები რადგან, არ აქვთ გამოცდილება თანატოლებთან ურთიერთობის. პირველი ბავშვები, როგორც წესი სხვებზე ადრე აღწევენ დასახულ მიზნებს, მეორე ბავშვები მარტივად ახერხებენ გარემოსთან ადაპტირებას და საკმაოდ მოქნილი ადამიანები არიან. შუათანა ბავშვებში შესაძლოა პიროვნებათა ძალიან ფართო და მრავალფეროვანი სპექტრი განვითარდეს. ჩვევები, რომლებიც შუათანა ბავშვებს უყალიბდებათ გამოწვეულია იმით, რომ ისინი, რეალურად, სრული ყურადღების ცენტრში არასოდეს ყოფილან. შუათანა ბავშვებს, როგორც წესი, არ ახასიათებთ მიკუთვნებულობის განცდა. ისინი მუდმივად იბრძვიან მშობლების ყურადღების მოსაპოვებლად, თუმცა მაინც რჩებიან უგულვებელყოფილები, ან აღიქმებიან, როგორც პირველი ან მათ წინ მყოფი შვილის გამეორება. შუათანა ბავშვებს, როგორც წესი, დაუცველობის განცდა ახასიათებთ, რაც, ცხადია, გავლენას ახდენს მათ შემდგომ ცხოვრებაზე. ეს კი, თავის მხრივ, მოქმედებს მათ ურთიერთობებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შუათანა ბავშვები ცხოვრებისადმი ძალიან უიმედოდ, სკეპტიკურად არიან განწყობილი და უფრო მეტად დეპრესიისკენ და მარტოობისკენ არიან მიდრეკილები. მათ აქვთ ბიძგისა და სტიმულის დანაკლისი და ცდილობენ, რომ ყველაზე უფროსი დედმამიშვილის ცხოვრების გზას გაჰყვნენ. თავს არიდებენ კონფლიქტებს, თანატოლებთან გამოირჩევიან ძალიან მეგობრულობით და შესაბამისად ჰყავთ ბევრი მეგობარი.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა საჯარო და კერძო ბაღის 60 ბავშვის გამოკითხვა, რენე-ჟილის სოციალური ადაპტაციის პროექციული ტესტისა და სკოლამდელ ასაკში ბავშვის თვითშეფასების საკვლევი ტესტი „კიბის“ საშუალებით.

დაბადების რიგსა და ბავშვების სოციალურ ადაპტაციას შორის, ასევე სოციალურ ადაპტაციასა და თვითშეფასებას შორის დადგინდა უარყოფითი კორელაცია. კერძო და

საჯარო ბაღებში გამოვლინდა განსხვავებული ურთიერთმიმართებები შემდეგ ქვე-სკალებში: „მეგობრებთან ურთიერთობა, „დიდ ჯგუფში ადაპტაცია“, „ლიდერობის სურვილი“ . დაბადების რიგით მეორე ბავშვებში გამოვლინდა უმაღლესი თვითშეფასება, მკვეთრად დაბალი დედისერთა ბავშვებში, საშუალოზე დაბალი დაბადების რიგით, პირველ ბავშვებში, ხოლო ადეკვატური დაბადების რიგით მესამე ბავშვებში.

მოცემული შედეგებიდან გამომდინარე სასურველია მასწავლებლებისთვის აქტივობებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტურ-აგრესიული ქცევისა მარტობის სურვილის შემცირებას და ასევე მნიშვნელოვანია საჯარო ბაღებში ლიდერობის უნარების გასავითარებელი აქტივობების შეთავაზება.

საძიებო სიტყვები: დაბადების რიგითობა, სოციალური შემგუებლობა, თვითშეფასება, კერძო ბაღი, საჯარო ბაღი.